№ 244 ნოემბერი 16, ხუთშაბათი 1889 ნოემბერი 16, ხუთშაბათი № 244

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 7 65 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარაიცოვის მეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიასსა თავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

ამ ნომერში რვა გვერდია

**სასწავლებელი და პანსიონი**

**ი. რ. მრევლიშვილისა**

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, კარანცოვის მეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—3)

ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში:

**ისტორია საქართველოსი**

(უძველეს დროიდამ მეათე საუკუნემდე)

თხზ. დიმ. ბაქრაძისა.

ფასი 1 მან.

მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი

(ლ. რაზიკაშვილისა.)

ფასი 30 კაპ.

(5—2)

ტფილისი, 15 ნოემბერი

გერმანიის იმპერატორის ყოფნამ საბერძნეთსა და ნამეტნავად სტამბოლში თავისი ბოლო გამოიჩინა. ამაოდ არ ჩაიარა ეგრედ წოდებულ „აღმოსავლეთის საქმისთვის“ არც ამ ყოფნამ და არც ამ ყოფნისაგან გამოწვეულმა ნახვამ ვილჰელმის მიერ იტალიისა და ავსტრიის ხელმწიფებისამ. ყველაფერი გვანიშნებს, რომ ცოტას ხნობით მიყრუებული საქმე ბალკანეთისა კვლავ იღვიძებს და ძნელად გამოსაცნობია,—იღვიძებს ხელ-ახლად დასაძინებლად, თუ საიმისოდ, რომ აივსო ფიალა მოთმინებისა და რაც მოსახდენია, უნდა მოხდეს. ერთიცა და მეორეც საფიქრებელია და ადვილად მოსალოდნელი. ეგ იმაზეა დამოკიდებული,—ვის უფრო გაიმეტებს გერმანია: ავსტრიასა, რუსეთს, თუ ორივეს ხელში მელასავით მოუკვდება? დეე, ამაებზე იფიქრონ დიპლომატებმა და პოლიტიკოსებმა და ჩვენ-კი აღვნიშნოთ ის თუ—რა მოჰყვა გერმანიის იმპერატორის მოგზაურობას და ბალკანეთის საქმეს დღეს რა ფერი დაედვა.

ყველაფერი, რაც ამ უკანასკნელ დღეებში მოხდა, გვარწმუნებს, რომ იმპერატორ ვილჰელმის მოგზაურობამ უფრო ავსტრიას ხელი შეუწყო, ვიდრე სხვას ვისმე. ავსტრია დღეს ბოლგარიაში ისეა, როგორც თავის საკუთარს სახლში: თითქმის რაც უნდა, იმას მოქმედებს ხელ-შეუშლელად. თავისის აზრის გასაძლიერებლად დიდად მოწადინებული იყო და დღესაც არის, რომ პრინცი კობურგელი ევროპამ მიიჩნიოს კანონიერ მფლობელად ბოლგარეთისა და ამისათვის ავსტრიამ არა ერთხელ და ორჯერ ფეხიც გადასდგა, ხან ოსმალეთს გადაუგდო სიტყვა, აბა შენ დაიწყე და მე მხარს მოგცემო, ხან გერმანიას შეევედრა,—ერთი ამაში ხელი მომიმართეო. ხოლო ეხლა-კი ეტყობა, რომ გერმანიამ ურჩია, დაანებე მაგ საქმეს თავი, დეე კობურგელი თავის თავად იყოს, როგორც დღეს არის და ნუ იქნება კანონიერ მთავრად ცნობილი, ვის რა დააკლდებაო.

გაზეთები გვაუწყებენ, რომ ავსტრია ამისთანა რჩევას არ უარობს და პრინც კობურგელის კანონიერად გამთავრებაზედ ჯერ ხანად ხელს იღებს. ეს ისეთი საგანია, რომ შესაძლოა ქარტეხილიც ამტყდარიყო ევროპაში, თუ ავსტრია არ დაჰყოლოდა გერმანიის რჩევას და გაჯირვეულებულიყო. ამბობენ, ხელმწიფე იმპერატორმა, ბერლინში ყოფნის დროს, გადაჭრით მოსთხოვა გერმანიას, რომ პრინცი კობურგელი კანონიერ მთავრად არას გზით არ იყოს ცნობილიო და ამ მხრით ავსტრია შეკავებული იქმნასო. ეხლა, როგორც ვხედავთ, ეს სურვილი ხელმწიფე იმპერატორისა შესრულებული იქმნა გერმანიისაგან.

ყველა ამისაკან რა მოიგო ავსტრიამა, რომელიც გერმანიას მარტო ამ მოგებისათვის - და შეჰხარის? მოგება ავსტრიისა ჯერ იმაშია, რომ გერმანიის რჩევის მიდებით ბევრი არა დაჰკარგა-რა. ავსტრიისათვის საჭირო ის არის, რომ ბოლგარიაში მთავრობდეს კობურგელი თავის ნებაზედ. ჩვენს მკითხველებს კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ მინამ იმპერატორი ვილჰელმი მოივლიდა ოსმალეთს, შემოივლიდა იტალიასა და ინსპრუკში ინახულებდა ავსტრიის იმპერატორს, ხმა დაკარდნილიყო, ვითომც კობურგელის ყოფნა ბოლგარიაში ბეწვზედ-და ჰკიდია და მისი გამოძევება იქიდამ დღე-დღეზედ მოსალოდნელია. ამ ხმამ ბერლინიდამ დაწყებულმა და თ. ბისმარკის გაზეთებისაგან გაფუებულმა ძალიან დააფიქრა ავსტრია მით უფრო, რომ ამ ხმამ სწორედ მაშინ აიდგა ფეხი, როცა ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება ნახვა გერმანიის იმპერატორისა ბერლინში. ამ ხმით შეფუცხუნებულმა ავსტრიამ თითქმის მაშინვე აზრინა თავისი მინისტრი კალნოკი თ. ბისმარკთან გამოსაკითხავად. რა ილაპარაკეს და რა დააწყეს ამათ, დაბეჯითებით არავინ იცის. ეს კი ყველასათვის ცხადი იყო, რომ კალნოკი გულ-დამშვიდებული დაბრუნდა შინ.

ამის შემდეგ ყველასათვის ცხადი უნდა იყოს რა მოიგო ავსტრიამ? გერმანიამ, ან, უკეთ ვსთქვათ, თ. ბისმარკმა ოსტატურად გააგონა ავსტრიას, რომ შენი კობურგელი შესაძლოა კუდ-ამოძუებული გამობძანებული იქმნას ბოლგარიიდამაო. კობურგელის გამობძანება ბოლგარიიდამ იმოდენადვე საწყენია ავ-

## ფელეტონი

### ზღაპარი

ბადრისა, უსიპისა და ამირანისა,

ანუ

ხალხში დაშთენილი ამირან-დარეჯანიანი.

(შემდეგი *)

ბედად სისხლში ერთი დაჰრილი დევი ფართხალობდა ამირანს ახლოს. ამირანი დასწვდა დევს, ესროლა სახლის ცრებს დევის მძოერი და გაამტვრია. სისხლმა ერთი დაიჭქა, ერთი დაიგრიალა, იქუხა და ბურთივით გავარდა გარეთ... ამირანს რაკი მოშორდა სისხლი, მხრები გაიწია, გაიბერტყა და თავისუფლად ამოისუნთქა. გამოვიდა... გაწმინდეს სახლი, მიალაგ-მოალაგეს, მააწყეს და დაიწყეს შიგ ცხოვრება. მაგრამ ამირანს დიდხანს ვერ დაუსვენდა გული სახლში, იმას თავისი ყამარი ელანდებოდა სიზმარშიაცა და ცხადადაც. ბადრს თეთრონი სთხოვა, უნდა მათხოვო შენი თეთრონი, ყამარის წამოსაყვანად წავალო. თქვენ თუ წამოხვალთ და იმოდენა სიკეთეს მიზამთ, ზღვის გამოღმა მომიცადეთ, ზღვას მე გავალ და მე მოვიყვანო.

ბადრო, მათხოვე თეთრონი,
ზღვაში გავიდე ნგრევითა,
გავიდე, გამოვიყვანო,
ქალია თეთრი, მზე ვითა;
თან ყურძენ გამოვაყოლო,
ტკბილია დედის რძე ვითა.

*) იხ. „ივერია“ № 242.

ათხოვა ბადრმაც თეთრონი, ძმებიც გაჰყვნენ და წავიდნენ ყამარის მოსაყვანად. ამირანმა ძმები ზღვის გამოღმა დასტოვა, თითონ-კი თეთრონზე შეჯდა და შევიდა ზღვაში; გააპო ზღვა, გავიდა გაღმა და გააშურა ცხენი ყამარისაკენ. გაიარა კარგა გზა და ყამარის კოშკს მიადგა. ყამარს დედ-მამა ცაში ჰყოლიყო, თითონ მარტოკა იყო, ფანჯარაში იჯდა და ჭურჭელს ჰრეცხდა. მივიდა ამირანი ფანჯარასთან და შესძახა:

— ჩამოდი, ყამარო, ჩვენსა წავიდეთო!

— ამოდი, ცოტა შეისვენე, მეც ჯამ-ჭურჭელს დავრეცხ და მერე წავიდეთო, ჩამოსძახა ყამარმა.

ამირანმა დააბა რაში ძირს და თითონ ყამართან ავიდა. ყამარმა დარეცხა ჯამები და ამირანს უთხრა: შენ-კი დააწყეო. ფრთხილად დაალაგე, არაფერი არ გასტეხოვო. აწყობს ამირანი ჯამებს და ერთი ჯამი, რამდენჯერაც ამირანი პირ-ქვე დასდგამს, იმდენჯერ გადმობრუნდება გულ-აღმა. გაბრაზდა ამირანი, დასცა წიხლი ურჩს ჯამს და დაამსხვრია. გატყდა თუ არა ჯამი, მთელმა მთელს უთხრა, ნატეხმა ნატეხს, დადგა ერთი ქრიამული და ხმაურობა, აიშალა ჭურჭელი და სულ ერთიან გასწია ცისაკენ, ყამარის მამისაკენ—ყამარი მოიტაცეს, მიეშველენით, დაგვეკარგა, მდევარი, მდევარიო! ყამარმა უთხრა ამირანს: „ის ჭურჭელი ჩვენ კარგს არ დაგვაყრის, მამაჩემი გამოგვიდგება; ადვილად ვერ გადავურჩებით, თუ ჩქარა არ წავედითო. შემოისვა თეთრონზე ყამარი ამირანმა და გაქუსლა.

ცოტა გზა რომ გაიარეს, საშინელი ქარი ავარდა, გრიგალი ასტყდა. ამირანმა აიხედა მაღლა და სთქვა: ამ ცაში-კი არაფერი ნიშნებია და ამ მიწის პირზედ რაღა ამბავიაო... კარგა გზა გაიარეს და დაუშვა წვიმამაც. ამირანმა კიდევ აიხედა ცაში და სთქვა: დიდება შენთვის ღმერთო, წელან ცა ვათვალიერე, საავდრო ჰაერი არ იყო და ეხლა საით მოვიდა წვიმაო! ეგ ქარი მამიჩემის ლაშქრის ფეხის მტვერიაო, უპასუხა ყამარმა: ეს წვიმა კიდევ დედიჩემის ცრემლია, ჩემს დაკარგვასა ჩივიანო. აჩქარდი, ამირანო, აჩქარდიო! დააჩქარა ყამარმა.

ამირან, გვალე-გვალესა,
მუხლად გაქვბენ მალესა!
ამბრნი, ჟამბრნი და არაბნი
ცხენს შასხდებიან ჩქარესა,
მალედვე მოგეწევიან,
ომს კაგიწვევენ ცხარესა!..

ამირანმა შეაგულიანა ყამარი, ამოდ იარეო.

ამოდ იარე, ყამარო,
გზათა ვერ დაჰლევ ბრძოლითა...
არცა ვარ ტყისა ხოხობი,
მომინადირონ ქორითა;
არცა ვარ შვლის კურდღელი,
რომ დამიჭირონ მწევრითა;
არცა ვარ ხისა ფურცელი,
გადამიტანონ ქარითა!
მოვლენ და მეც აქ დავხვდები
ამ ჩემის გორდა ხმალითა;
უსიპითა და ბადრითა,
მესამით ამირანითა.

სუყველას თავებ დაგიჭრი
საპურეველია დანითა...
იმ მამიშენის ლაშქარსა,
გაუმაძღარსა ღომითა,
მარტო გაუხდი ჩხუბადა,
მარტო გეუოფი ომითა!

გამოვიდა ამირანი ზღვას, გამოიყვანა ყამარიც, მოდგა და მოდგა მდევარი ჯარიც ყამარის მამისა ხომალდებით. გაივსო ზღვის მიდამო. ბადრს უთხრა ამირანმა: „შეკაზმე, ძმაო, შენი თეთრონი, შეჯე, ჩადი და აბა რამდენი ხანი დაგელევა ლაშქრის შემოვლაშიო“. ბადრის თეთრონი ისეთი იყო, რომ ერთის წლის სავალს ერთს საათში გაირბენდა. ზღვა და ხმელი იმისათვის ერთი იყო. ადგა ბადრი, შეკაზმა თავის თეთრონი, შეჯდა და ჩავიდა. დაარტყო ერთს ადგილს ისარი, რომ იქვე მოსულიყო, საითაც წინა-წინ გააქცია ცხენი. ჩაარჭვა ისარი, გააქცია ცხენიც, მაგრამ ეშმაკებმა მოგლიჯეს ისარი და უკან გამოუდგნენ ბადრს (ყამარის მამის ლაშქარი სულ ქაჯებისა და ეშმაკებისაგან იყო შემდგარი). არბინა ბადრმა დიდხანს თავის თეთრონი, მაგრამ ისართან მაინც ვერ მივიდა. ბოლოს დაბრუნდა ამირანთან და უთხრა, რომ ტყუილად ვირბინეო:

ცხრა დღე მივლია, ცხრა ღამე,
გარსა ვერ მამირბენია,
ამ ჩემი თეთრონისთვინა
ოფლი არ შემიშრენია,
ამ ჩემის მათრახისთვინა
ფოჩი არ შემირჩენია!

მერე შეჯდა ამირანი და ჩავიდა ჯარის დასათვალიერებლად, დაარტყო ისარი და გააფრინა თეთრონი. მოცვივდნენ ეშმაკებიც, დაებღაუჭნენ დარეჯანისძის დასმულს ისარს, მაგრამ ვერ ამოაძრეს. შემოურბინა ამირანმა ლაშქარს ერთს წამიერა ხანს და მოვიდა ძმებთან. უსიპს უთხრა: „ჩადი, უსიპო, იომე, მერე ჩვენც მოგეშველებითო!“ ჩავიდა ვაჟი უსიპი, ჩავიდა სახელიანი, ჩავიდა და ჩაზომა სალაშქრო გზები, შეუტია ჯარს, იომა, იბრძოლა, გაანახევრა ჯარი, მაგრამ თითონაც იქ დადვა ვაჟკაცურად თავი. მოკლეს უსიპი. ამირანს გულმა გაუკო, უსიპის თავს ჰკიოდა, და ბადრს უთხრა:

ან ჩადი, ბადრო, ან ჩავალ,
ან გამილესე ხმალია;
ჩავალ და ვედარც ამოვალ,
ვაი მა შენი ბრალია!

ამირანის წესი ის იყო, სადაც ომში ჩავიდოდა, ან გაიმარჯვებდა და ან მოკვდებოდა. „სირცხვილიანის შინ მისვლას, სიკვდილი სჯობს სახელოვანიო“, იტყოდა ამირანი. კიდევ უთხრა ბადრს... ძმა უსიპი ჰქონდა გულში.

ან ჩადი, ბადრო, ან ჩავალ,
მე შემიკაზმე შენ ცხენი,
უსიპის მეზარადისა
აღარ ამოდის ნაცხერი.

შეჯდა ახლა ბადრი და ჩავიდა ძმის სისხლის საძებრად. იომა ბადრმაც, მაგრამ მოკლეს ისიც. მაშინ ყამარმა უთხრა ამირანს: «შენი აბჯარი მე მომეც, მე ჩავალ საომრადაო».—რას ამბობო, გაუჯავრდა ამირანი: დედაკაცებს თავის საქმე ნუ გაეწყდებათ, რა შენი საქმეა ხმალი, ხმლიანი მე ვარ, მე ჩავალო. ეგ რა ნამუსია, ან სახელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრიისათვის, რამოდენადაც რუსეთისათვის მისი კანონიერ მთავრად დამტკიცება. მაშასადამე, გერმანიის პოლიტიკისათვის ერთის მხრით საჭირო იყო კობურგელი ბოლგარიიდამ არ გამოძეებულიყო და მეორეს მხრით მისი იქ ყოფნა კანონიერად არ მიჩნეულიყო არავისაგან. ოსტატურმა პოლიტიკამ თ. ბისმარკისამ ერთიც მოახერხა და მეორეც. ავსტრია ეხლა დიდად მოხარულია, რომ კობურგელის ბოლგარიიდამ გამოძეების ამბავი ამით გათავდა და მისი მოგებაც ეს არის ჯერ ხანად. ამ სახით, თ. ბისმარკმა ავსტრიას დაათმობინა ის, რაც უიმისოდაც თავის თავად დათმობილი იყო და მის სამაგიეროდ იგი ხელთ მისცა, რაც ადვილად წასასვლელია ხელიდამ.

სხვათრივაცა სჩანს, რომ ავსტრიის საქმეები ბალკანეთში ურიგოდ არ მიდის. ბოლგარიაში ხმა და გავლენა ავსტრიისა ხომ ყოველ ეჭვს გარეშეა. სერბიაშიაც, თუმცა გარედამ-კი, სცდილობენ, რომ ცოტად თუ ბევრად ამ ბოლოს ხანებში შერყეული აზრი ავსტრიისა აღადგინონ. ყოფილი მეფე სერბიისა მილანი ტყუილ-უბრალოდ არ მიიჭრა ბელგრადში ამ მოკლე ხანში და ვინ არ იცის, რა გულმხურვალე მომხრეა ავსტრიისა მილანი. ერთი რუმინია-ღა იყო, საცა სამინისტრო ცოტად თუ ბევრად ეურჩებოდა სახელოვანს „სამთა კავშირს“ და, მაშასადამე, ალმაცერად უყურებდა ავსტრიის პოლიტიკასაც. გარნა მივიდა თუ არა იმპერატორი ვილჰელმი ინსპრუკში, ჰნახა და მოილაპარაკა თუ არა ავსტრიის იმპერატორთან, თითქმის მაშინვე ავსტრიის ურჩი სამინისტრო რუმინიისა პირ-ქვე დაემხო და მოწვეულ იქმნენ მინისტრებად სხვა იმისთანა კაცები, რომელნიც უფრო ავსტრიისაკენ არიან, ვიდრე ვისმე სხვისაკენ და რომელნიც გერმანიის რჩევასა და სიტყვას ძირს არ დაუშვებენ. რა თქმა უნდა, რომ დღეს ყოვლად შემძლებელი გერმანიაა აქ გარეული. ვინ იტყვის, რომ აქ გერმანია არაფერს შუაშია? ვინ იტყვის, რომ ყოველივე ეს ავსტრიის გულის მოსაგებად არ იყოს მომხდარი?

## ახალი ამბავი

⁂ ბ-ნმა გუბერნიის მარშალმა ყოვლად უქვეშევრდომლესად მიულოცა ხელმწიფე იმპერატრიცას დაბადების დღე და მიიღო პასუხად შემდეგი დეპეშა გრაფ ვარანცოვ-დაშკოვისაგან:

მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატრიცამ კეთილ ინება და მიბძანა მადლობა გადეუხადო თქვენს ბრწყინვალებას და სახელოვანს საქართველოს თავად-აზნაურობას იმ სიყვარულისა და ერთგულებისათვის, რომელიც თქვენ მიერ გამოთქმულ იქმნა.

გრაფი ვარანცოვ-დაშკოვი.

⁂ დღეს, 16 ნოემბერს, საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზე, დანიშნულია კრება კავკასიის მკურნალთა საზოგადოებისა. კრებაზე მკურნალი სახაროვი წაიკითხავს წერილს მალარიის შესახებ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე და მკურნალი შურიგინი მოკლე სამკურნალო-სატოფოგრაფიო აღწერას თიანეთის დავაკებისას.

⁂ ჩვენ ვნახეთ ახალი პატარა ქართული წიგნი: „დარიგება ბლალოჩინისადმი“ (?), რომელიც დაუბექდიათ სინოდალურის კონტორის განკარგულებით. ამ პატარა წიგნში დაწვრილებით არის მოხსენებული, რას უფრო უნდა ჰქონდეს მიქცეული ყურადღება ბლალოჩინისა საბლალოჩინოში და როგორ უნდა მოიქცეს ბლალოჩინი, რომ თავისი თანამდებობა კარგად შეასრულოს.

⁂ ორშაბათსა და სამშაბათს საღამოს რეალურ სასწავლებლის ლაბორატორიაში ბ-ნთ სტასენკომა და შულგინმა დაიწყეს თავიანთი ლექციები მასწავლებელ ქალებისთვის. ბ-ნმა სტასენკომ წაიკითხა პირველი თავისი ლექცია ქიმიისა, ხოლო ბ-ნმა შულგინმა—პარიჟის გამოფენის საპედაგოგიო განყოფილების შესახებ. ლექციებზე დაესწრო ოც-და-ხუთამდე მასწავლებელი ქალი. კარგი იქნებოდა, რომ სხვა მასწავლებლებიც იტვირთებდნენ ამისთანა წასაბაძს საქმეს და ითავებდნენ ისტორიისა და საზოგადო მეცნიერების ლექციათა კითხვას. ერთობ ჩვენი სასწავლებლები მეტად ნაკლებს სამეცნიერო ცოდნას აძლევს მოსწავლეთ და მიზეზიც ეს არის, რომ ჩვენი მასწავლებელი ქალები, რომელთაც უმაღლესი განათლება არ მიუღიათ, ასე ნაკლებად არიან განვითარებულნი სამეცნიერო საგნებში. დიდად სასარგებლო იქნებოდა მათის საპედაგოგიო მოღვაწეობისთვის, რომ ეს ნაკლი შეივსონ ზემოდ დასახელებულ საჯარო ლექციების საშუალებით, და ფრიად სამადლობელ საქმეს ჩაიდენდა მასწავლებელ-ქალთა დამხმარებელი საზოგადოება, რომ ეს ლექციების კითხვა ჯეროვან და ფართო ნიადაგზე დაეყენებინა ტფილისში.

⁂ რიყეზე თითქმის ყოველ დღე დიდ-ძალი საქონელი ჩამოჰყავთ და კარგა ბლომადაც იყიდება ხარ-კამეჩი და სხ. რქოსანი პირუტყვი. ამ ალაგს თითქის ყოველ დღე ბევრი გლეხობა იყრის თავს, რომელნიც ჰყიდულობენ და ჰყიდიან პირუტყვს. ამ საქონლით ვაჭრობა, როგორც სხვითიც, აქამდე თითქმის სულ ჩარჩებსა ჰქონდათ ხელში დაჭერილი და თუ ვინმე იყო გამორჩენასა და მოგებაში, ისევ ეს ჩარჩები იყვნენ, რომელნიც თავისის გაიძვერობის შემწეობით უბრალო შუამავლობისათვის გამყიდველსაც ართმევდნენ ფულს, მყიდველსაც და ამ გვარად ორივ მხრით სარგებლობა ჰქონდათ. ესევე ჩარჩები ხშირად თითონ ჰყიდულობენ ნახევარ ფასად საქონელს, ჩაიცვამენ ერთს რომელსამე თავისს ამხანაგს გლეხის ტანისამოსს და ერთი-ორად ასაღებენ. ეხლა-კი ცოტაოდნად მაინც აილაგმება ვაჭრების საქციელი, რადგან, როგორც შევიტყვეთ, მეორე პოლიციის ბოქაულს ბ ნს ჩიკვაიძეს უკვე განკარგულება მოუხდენია, რომ ჩარჩებს რიყეზედ შუადღემდე ნუ მიუშვებთ და ნებას ნუ მისცემთ ვაჭრობაში ჩარევისასაო.

⁂ ზოგიერთი ბუნების მეტყველი და მკვლევარი სცდილობს გამოარკვიოს, რა გვარსა და ჯიშს ეკუთვნის ღომი პურის მცენარეებისას. ბ-ნმა კოვალევსკიმ რუსულს ენაზე გადმოიღო გიბერლანდის თხზულება: „Общее сельско-хозяйственное растеніеводство“ და ღომს უწოდა Setaria Italica, ხოლო ჩვეულებრივს ფეტვს-კი—Sorghum vulgare-ი. ბ-ნმა ანენკომა ბოტანიკური ლექსიკონი შეადგინა და ღომს უწოდა sorghum vulgare-ი. ბ-ნი ზასიადკო არც ერთს ეთანხმება და არც მეორეს, ეს ბუნების-მეტყველი „Земледѣльчес. газета“-ში (№ 47) ამტკიცებს, რომ ღომი არც Setaria Italica-ს გვარსა და არც sorghum vulgare-სას ეკუთვნისო, არამედ სრულიად დამოუკიდებელის გვარისა და ჯიშისა არისო. ზასიადკოც მართალი არ არისო, ამბობს ა. ბატალინი: კავკასიას მე კარგად ვიცნობო და ქართული ღომი სრულიადაც არ გაირჩევა Setaria Italica-საგანაო. ამავე აზრისანი არიან გამოჩენილნი ბუნების-მეტყველნი კერნიკე, ალფელდი და პეტერ კოლლიერიო.

⁂ 7 ნოემბერს პეტერბურგში ჩვენს თანამემამულეს პროფესორს თარხნიშვილს წაუკითხავს პირველი საჯარო ლექცია სიცოცხლის ხანგრძლივობისა და გახანიერების თაობაზედ. ლექციას დიდ-ძალი ხალხი დასწრებია და დიდის ალტაცებით მოუსმენიათ ლაპარაკი პროფესორისა. ლექციის უმთავრესი აზრი ასე გამოითქმის: სიცოცხლე დამყარებულია იმ წვრილს ძაფებზე, რომელიც ცხოველის ხორცის თითოეულს ნაწილში, თითოეულს ესრედ წოდებულს უჯრედებშიაო. ეს ნაწილები და უჯრედები გადაბმულია ერთმანეთში და ცვლილება ერთისა ცვლილებას იწვევს მეორისას. იმ ძაფებშია დამალული ის საგძალი მხნეობისა და ძალ-ღონისა, რომელსაც ჰხარჯავს აგებულება თავის საცხოვრებლადაო. მაგრამ როგორ ჰხარჯავს? ამ ხარჯვას წვას ამსგავსებდნენო, მაგრამ იგი ხარჯვა ძალ-ღონისა და ძაფებისა უფრო თოფის წამლის აფეთქებასა ჰგავს და თვით იმ ძაფებს სიცოცხლის თოფის-წამალი უნდა დაერქვასო. ყველა ძაფი არ იხარჯება და არ იწვის თოფის წამალივითაო. ასე რომ იყოს, სიცოცხლე წუთიერი იქნებოდაო. მეორე ლექციაში პროფესორი განმარტავს, რის გა-

---

ჩემთვის, რომ შენ იომო და მე აქით გიცქეროდეო! „მაშ თუ ჩახვალო, უთხრა ყამარმა: არ დაიშალო, ეს მაინც ამისრულე, ომშიით რო გამოდიოდე, ხმალს ნუ ჩააგებ, ჩემთან ხმლიანი ამოდიო. ჩავიდა ამირანი საომრად, გაუსვა და გამოუსვა სიმამრის ლაშქარს, სჭრა ცხერებსავით თავები, გასწყვიტა მთელი ლაშქარი და შეხვდა ბოლოს პირისპირ სიმამრს. შეუტიეს ერთმანეთს ამირანმა და ყამარის მამამ. სცეს ერთურთს ხმალი, ფარი უფარეს. ორივეს ბექთრები ეცვა. ვერც ერთის ხმალი ვერა სჭრიდა ჯაჭვს. ამირანის ხმალი ყამარის მამის მუზარადს რომ მოხვდებოდა, ნაპერწკლის ცეცხლი ენთებოდა. ყამარის მამის ხმალი ამირანის ბეგთარს რომ მოხვდებოდა, ჯაჭვი გველივითა წიოდა. უცქეროდა ყამარიც დიდხანს ამირნისა და მამის უნაყოფობას; ჰხედავდა, რომ ამირანს გაუჭირდებოდა და უჭირდა კიდეც ქაჯთ ბატონის მოკვლა, შეუშფოთდა გული ყამარს და შეჰგმო ამირანი:

ამირან, ცოდვ-დედა ბოზო,
ომი ვერ იცი კილოსა;
მაღლა-კი ნუ სცემ სპილოსა,
დაბლა შამჰკარ რბილოსა;
დასწუდებიან მარდები,
დაეცემიან ძირისა...
ბოძნი რო დეეჭრებიან,
დარბაზნი დეეცემიან!..

გაიგონა ქალის სიტყვები ყამარის მამამ, მამისად ღალატი, ქმრისად მხრის ჰქრა, გული აემღვრია და დაუძახა ყამარს ყვედრებით.

უუჯრეთ, ბოზას ქალსა,
ქმარი ირჩია მამასა!
ქმარი ხეს ასხავ ფოთვლადა,
მამას ვინ მისცემს საწყალსა?!
რისთვის გაგზარდა დედამა,
რისთვის გეტყოდა ნანასა,
რად გაწუებდა ძუძუსა,
გირწევდა აკვანასა!

დედაშენს რო შობამდისვე გასწყალებიყავ მუცელში, ან ძაღლი ეშობა და გაეზარდა შენს მაგიერ, ისა სჯობდა შენს გაჩენასა და შენს გაზდას, ის უფრო ნამუსი და სახელი იქნებოდა, ძაღლი უფრო ერთგულიც იქნებოდაო... ყამარმა უპასუხა:

— არცრა გამზარდა დედამა,
არცრას მეტყოდა ნანასა;
მიმაგდის სახლის ყურეში
თაგვების ანაზარასა...
არცარას მათირებდოდით,
არცრას მეტყოდით ნანასა,
დამსოდით დავიწყებული,
მაღირებდოდით დანასა!

მაგას გაზდას ეძახით, რომ ერთხელაც არ მიბრუნებდით თავს, ტირილით რომ მოემკვდარეიყავო. ამირანმა გაიგონა ცოლის სიტყვები, შემოჰკრა ქაჯთ ბატონს ფეხებში ხმალი და დასჭრა. მოკლა სიმამრი, გასწყვიტა იმის ლაშქარი და გამარჯვებული და გახარებული მიდიოდა ყამართან. წინ ერთი ქალი შეჰხვდა. ნახა ხმალ ამოღებული ამირანი და უთხრა:

ნეტა ხმლიანი სად მიხვალ,
ამირან თარაქამაო,
გასწყვიტე ცოლეურები,
ვინ გითხრა ბარაქალაო.

შენ, თუ კაცი იყო, ხმალს ჩააგებდი და წახვიდოდი ძმების საძებნელადაო. მოაგონდა უსიპის სიტყვა ამირანს „შენის ცოლისა გულისთვის სუ ძმები დაგილიენითო“, დაავიწყდა ყამარიც, თავის თავიც და გამარჯვებაც. იმის გულში მარტო ძმების საგონარს ჰქონდა ადგილი: მაშ თქვენის ცოდვის მზიდველი ვიყო, თუ არ გიპოვნოთ, მკვდრები იქნებით, თუ ცოცხლებიო, გაიფლო გულში ამირანმა: ცოცხლები იქნებით, მეც თქვენთან გავიხარებ, მკვდრები - და, მეც თქვენთან გავითხრი სამარეს და თქვენთან მოვკვდებიო. ესა სთქვა ამირანმა და გავიდა მკვდრებით მოფენილს ველზე ძმების საძებნელად. თვალ გადუწვდენელი მინდორი დახოცილთ ლეშით იყო შერთული და შეფარული. ყვავი და ყორანი ხარობდა მტრების მძოვრზედ. ცალკე ნადირნი ხარობდნენ უპატრონო მკვდრებზედ და ცალკე ცის ფრინველნი. სისხლი რუებად მიდიოდა. ეძებდა ამირანი თავის დახოცილს ძმებს მკვდართა შორის, ეძებდა, მაგრამ იმოდენა დუნია მკვდრებში ეგრე ადვილად როგორ იპოვნიდა. ბოლოს, როგორც იყო, იპოვნა მკვდარი უსიპი, აიღო ხელში ამირანმა და წავიდა ახლა ბადრის საძებნელად. დიდის ძებნის შემდეგ იპოვნა ბადრიც, ისიც მკვდარი. დააწყო ერთად მკვდარი ძმები ამირანმა, დაჯდა თითონაც იმათთან და ერთხელ კიდევ ჩასძახა მკვდარს ძმებს: „ძმებო, ნუ დამემდურებით, მეც თქვენთან წამოველო!“ და დაიცა გულში თავის მოკლე ხმალი, უნდოდა იმათთან ერთად სიკვდილი, მაგრამ ხმალმა არ გასჭრა... ამირანი არ მოკვდებოდა, თუ ნეკა-თითს არ მოიჭრიდა... დაჯდა ამირანი მკვდარ ძმებთან და დაიწყო ტირილი, სიკვდილიც აღარ მეღირსა თქვენთანაო. ღმერთი სიკვდილსაც-კი იშურებს ჩემთვისაო. ზის ამირანი და გარს ორად ნაკაფი ქაჯები ჰყრია. წამოიწევს ერთი მკვდარი ქაჯი და გადასძახებს მეორე მკვდარ ქაჯს: „ადე! ადე! რა მოვიხილე, ამირანს თავის მოკვლა უნდოდა, ხმალი დაიცა გულში, მაგრამ არ მოკვდაო. ამირანი ისეთი რეგვენი ყოფილა, რომ არა სცოდნია როგორ მოკვდებაო. იმან რომ ნეკი-თითი მოიჭრას, მეტიც არ უნდაო!“ გაათავა ეს სიტყვები მკვდარმა ქაჯმა, მიდვა თავი და ისევ მიწვა. დადგა ისევ სიჩუმე და სიკვდილი. გაიგონა ამირანმაც იმათი ლაპარაკი, ამოიღო ხმალი და მოიჭრა ნეკა-თითი. უდინა სისხლმა და მიწვა ისიც ძმებთან.

ყამარო, დამხსენ ძუძუნი,
შენც ჩემთან დასთმე თავიო,
ცოცხალსა საარსამულსა
მე გირჩევნივარ მკვდარიო!

ეს სიტყვები კიდევ მოასწრო და მიაბარა სული.

ცხრათა ფრინველთა მხარგრძელთა
ადგილის ჭალა გაქნა...
უძმოსა, უმამისძმოსა
ამირანს თავი მოკლა.

მოვარდა ყამარიც ცრემლის ღვრით, დასტირა და დაჰკოცნა ამირანს, მაგრამ ვინ იყო იმის მეშველი!.. ზის და ტირის ყამარი. იმისი ცრემლები ზღვას ერთვიან, იმის ცოდვით ხეებს ფოთლები სცვივა, ამირანი-კი გდია უშველო... უცებ გამოძვრება ერთი თაგვი და დაუწყებს ამირანის სისხლს ლოკვას. მოუვა გული ყამარს, გაიძრობს ქოშს ფეხიდამ, დაჰკრავს თავში თაგვს და იქვე მოჰკლავს. თაგვის სიკვდილზე გამოვარდება იმის დედა და დაუწყებს ჩხუბს და ლანძღვას ყამარს: „შე კახპავ, შენა, შენის გულისათვის შენმა მამამ მოიკლა თავი, შენი ქმარ-მაზლები წინ გიწყვია მკვდრები, ამდენი ჯარი გასწყდა და შენ კი არ შეგრცხვა. იქნება ისა გგონია, რომ მეც არ მენანებოდეს ჩემი შვილი, როგორც შენ შენი მამა და ქმარ-მაზლებიო. ბრალი შენი, შენ რას უზამ მაგდენს მკვდრებს, თორემ მე ჩემს შვილს მალე გავაცოცხლებო!“ ესა სთქვა თაგვმა, გაიქცა, მიირბინ-მოირბინა, იპოვნა რაღაც ერთი ბალახი, მოიტანა, წაუსვა შვილს, გააცოცხლა და კისერში კისრის ცემით გააქანა სოროში. ადგა ყამარიც, მოძებნა იგივე ბალახი, იპოვნა, მოიტანა, წაუსო ამირანს და გააცოცხლა. ადგა ამირანი, მოიფშნიტა თვალები და სთქვა: „ოჰ, რა ბევრი მძინებიაო!“ „ბევრი მაშინ გეძინებოდაო, უთხრა ყამარმა: რომ თაგვი არ გამოგვჩენიყოვო“. მერე მოჰყვა ქალი ყველაფერს და უამბო, რაც საქმე გადახდა. გააცოცხლეს ბადრიც, უსიპიც და სამივე ძმა წავიდნენ სახლში...

ნეტავი ძმათა მრავალთა,
ცხარე მზე ამოუხდება,
ვერც ვინ წაართომს დიაცსა,
ვერც ვინ შინ შამოუხდება!..

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოა ხანიერი და ხანგრძლივი კაცის სიცოცხლეო.

*** **საინგილო:** ეხლა-ხანს გაჰგზავნეს ციმბირში სამუდამო საცხოვრებლად ავაზაკი თემრაზა. ეს კაცი ტომით ქართველია და მრავალი ავაზაკობა ჩაუდენია თავის სიცოცხლეში.

*** **სოფ. ღანირი (იმერეთში):** ღანირის სამამასახლისოში 800 კომლი კაცი ითვლება თავად-აზნაურებს გარდა და ჯერ სკოლა არა გვაქვს. ხალხი-კი ძლიერ მოწადინებულა სკოლის დაარსებას. 12 ნოემბერს ბოქაული იყო აქ ამ საქმის თაობაზედ, შესდგა კიდეც განაჩენი და ხელიც უნდა მოგვეწერა, მაგრამ ამ დროს ამ საქმეში ჩაერივნენ თითო-ოროლა სკოლის მოწინააღმდეგენი და საქმე ჩაიშალა...

—

შეცდომის გასწორება: გუშინდელ მეთაურში ბრაზილიის საზღვრები არეულია და რაც აღმოსავლეთით უნდა იყოს ნახსენები, ის დასავლეთით არის და რაც დასავლეთით, ის აღმოსავლეთითა. ამის გამო აღმოსავლეთის საზღვრები დასავლეთის საზღვრებად უნდა მიღებულ იქმნას და დასავლეთისა აღმოსავლეთისად.

## ქართული თეატრი

კარდინალი რიშელიე, დრამა 5 მოქმედ. და 8 სურათად თარგმანი ა. ცაგარელისა.

ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი, ვოდევილი ერთს მოქმედებად.

საფრანგეთის გამოჩენილი სახელმწიფო კაცი, ჰერცოგი და კარდინალი არმან დიუპლესი რიშელიე დაიბადა 1585 წლის 5 სექტემბერს პუატოში. ყმაწვილი კაცი პირველში სამხედრო სამსახურისთვის ემზადებოდა, მაგრამ სასულიერო წოდებაში შევიდა და 22 წლისა უკვე ეპისკოპოსად იქმნა კურთხეული. მარშალ დ'ანკრის დროს სამხედრო და გარეშე საქმეთა მინისტრი იყო. 1622 წელს კარდინალობა მიიღო, ხოლო 1624 წ. სრული მმართველი და გამგე შეიქმნა საფრანგეთისა და მუდმივ იმასა სცდილობდა, რომ უფლებათა ცენტრალიზაცია დაედგინა. ეს კაცი ავსტრიის წინააღმდეგ ჰმოქმედობდა, იტალიაში შევიდა და ლოტარინგია დაიპყრა. 1636 წ. რეინისკენ გაჰგზავნა ჯარი და კატალონიასა და რუსილიონში ისპანიელები დაამარცხა. 1635 წ. ამ გამოჩენილმა კაცმა საფრანგეთის აკადემია დაარსა. ოცის წლის საფრანგეთის მმართველად ყოფნის შემდეგ კარდინალი რიშელიე გარდაიცვალა 1642 წლის 4 დეკემბერს ორმოცდა-ჩვიდმეტის წლისა.

გუშინ-წინ კ. ყიფიანის ბენეფისში წარმოდგენილი პიესა „კარდინალი რიშელიე“ თითქმის მხოლოდ იმისთვის არის დაწერილი, რომ ამ გამოჩენილის კაცის ვინაობა ცხოვლად დაჰხატოს და უკვდავი ჰყოს შთამომავლობისათვის. მართლაც-და ვისაცკი საფრანგეთის მეჩვიდმეტე საუკუნის ისტორია ოდნავ მაინც გადაუთვალიერებია, ნათლად წარმოუდგება თვალწინ ეს გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, რომლის კარდინალობის დროსაც საფრანგეთის მეფე ლიუდოვიკ მე-XIII მხოლოდ სახელით ჰმეფობდა, თორემ ყველაფრის გამგე და გამკეთებელი გამოჩენილი რიშელიე იყო.

ამ ნათარგმნს პიესას თითქმის იგივე ნაკლი აქვს, რაც ჩვენის სცენის ყველა სხვა ნათარგმნს პიესებს—ცუდი გადმოქართულება. პატივცემული ა. ცაგარელი, რომელსაც ისეთი მშვენიერი და ლაზათიანი ქართული ენა აქვს თავისს კომედიებში, თარგმანში ძალიან ჰბორძიკობს. ეტყობა, მეტად აჩქარებულა და თარგმანისათვის შემდეგ შალაშინი აღარ გაუკრავს, რადგან თითქმის მთელი პიესა აჭრელებულია ნაცვალ-სახელებით, სავსეა რუსიციზმებით. ჩვენ თითონ პიესა გადავსინჯეთ ოდნავ და დავრწმუნდით, რომ მთარგმნელს მართლაც გატეხილი არა ჰქონია თარგმანში ენა ისე, როგორც თავისს სხვა ნაწერებში აქვს. მაგალითებრ, ხშირია ამისთანა ფრაზები:

შენ ამბობ, რომ მზადა ხარ სასიკვდილოდ... აი შენ მიამბე, როდესაც შენ სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი გქონდა, როგორ გაატარე ის დრო, რომელიც მე შენ მოგეცი მოსანანიებლად და სვინდისის გასაწმენდად?..

შენ დაილუპე, ყველაფერი შესჭამე; შენ მოგეწონა გლახაკად ყოფნა, შენი ნება, მაგაში არავის არა აქვს ნება, რომ გისაყვედუროს.

ფეოდალურს უვარგისს ნანგრევებიდგან მე აღვადგინე მშვენიერება (?) ქვეყნის გასაკვირველად.

მე მესმოდა საშიში მდგომარეობა იულიასი და მინდოდა ის გადამერჩინა შიშს ღირსი ქმრის შერთვით, და აი რისთვის გაპატიე მე შენ! მერე შენ დაიფარე ჩემი იულია?! შენ თვითონ სახლიდგან გაიქეცი, და მერე სადა? იმის მტერთან? ის-კი, შენი ცოლი, ჩემს მამობრივს მკერდზედ ეძებდა შველას, რომელიც ვერ ჰპოვა თავის მშიშარა და სუსტს მეუღლეში (?).

თქვენ უარს მიყოფთ მართლ-მსაჯულებაში (?) და სხ.

მობენეფისე თვით რიშელიეს როლსა თამაშობდა და ზომიერადაც ჩაატარა თავისი სათამაშო. პირველს ორს მოქმედებაში რიშელიე ცოტა ერთფეროვანი იყო და ამის წყალობით პიესაც მდორედ მიდიოდა, მაგრამ შიგა და შიგ ბ-ნს ყიფიანს ისეთი საუცხოვო ადგილები ჰქონდა, რომ სწორედ აღტაცებაში მოჰყავდა საზოგადოება. რიშელიეს როლი მთელი დედა-ბოძია პიესაში და დანარჩენი მომქმედნი პირნი სულ ამ დედა-ბოძს გარშემო ტრიალებენ.

ცოტად თუ ბევრად თვალ-საჩენი როლი პიესაში, რიშელიეს გარდა, კავალერი ადრიან დე-მოპრაა, გრაფი ბარადასი და დომინიკანელი იოსები. პირველს როლს თამაშობდა ბ-ნი გუნია. ამ არტისტმა თავისი როლი რიგიანად ჩაატარა და საზოგადოდ ემჩნეოდა, რომ სცდილობდა თავისა და ხელების ქნევით არ წაეხდინა სათამაშო და თავ-დაჭერილი ყოფილიყო, თუმცა-კი ერთგან თუ ორგან ძველმა ჩვეულებამ მაინც წასძლია.

გრაფ ბარადასის როლი არ წაუხდენია ბ-ნს სვიმონიძეს, თუმცა-კი ის გაიძვერა, ბოროტი და მოძმის ფეხ ქვეშ ორმოს მთხრელი ბარადასი არ იყო, რომელიც დრამის ავტორსა ჰყავს გამოყვანილი. ბარადასი „კარდინალს რიშელიეში“ იგივეა, რაც „ოტელლოში“ იაგო, ისეთივე დაუნდობელი, ისეთივე პატივის-მოყვარე და ბოროტი. ბარადასი არაფერს დაერიდება, ოღონდ-კი დაფარული სურვილი განიხორციელოს, და თავსაც-კი სწირავს ამ საქმეს. აი, სწორედ ამ მხრივ ვერ დაგვიხატა ბ-ნმა სვიმონიძემ ბარადასი, ამ მხრივ ჰკოჭლობდა.

დომინიკანელი იოსები მშვენიერად შეასრულა ბ-ნმა გედევანოვმა, არსად წაუხდენია, არსად გადაუჭარბებია თავის როლი. განსაკუთრებით კარგად ჩაატარა ის ალაგი, როცა საპატიმროში უნდა შესვლა, არ უშვებენ და გაიძვერაობს, რომ როგორმე მოახერხოს. ამ არტისტს საზოგადოდ ერთი ნაკლი ემჩნევა—მეტად აპტყელებს სიტყვებს ლაპარაკის დროს, თავის სათქმელს მეტად აჭიანურებს და აგრძელებს. ეს ნაკლი გუშინ კიდევ ისე არ ემჩნეოდა, რადგან თითონ როლი თხოულობდა დამჯდარს ხასიათს და სიდინჯეს, ხოლო კომედიებში-კი, სადაც მოქმედება სწრაფად სწარმოებს და სიმკვირცხლე, სიმარდეა საჭირო, ეს ნაკლი მეტად იჩენს ხოლმე თავს.

საზოგადოდ პიესა ისეთის კარგის ანსამბლით იქმნა წარმოდგენილი, რომ საერთო ზედმოქმედება არაფრით წაუხდენიათ. არა უჭირდა-რა და არაფრით აფერხებდა ანსამბლს ქ-ნი ავალიშვილისა იულიას როლით და ქ-ნმა საფაროვისამ ხომ ისე მშვენიერად ითამაშა უმნიშვნელო და სულ უბრალო როლი ფრანსუასი, რომ ტაშის-ცემაც-კი დაიმსახურა.

დრამის შემდეგ წარმოადგინეს ერთმოქმედებიანი ვოდევილი „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი“, რომელშიაც მობენეფისემ და საფაროვისამ თავისის ცქრიალა თამაშობით საზოგადოება ძალიან აცინეს და ბევრი აცინეს და ახარხარეს.

სამწუხაროდ, ამ ხანობაზედაც თეატრში ხალხი იმდენი არ დაესწრო, რამდენიც მოსალოდნელი იყო. ჩვენი საზოგადოება ისე გულ-გრილად ეპყრობა ქართულს სცენას, რომ ვერც დამსახურებულის არტისტის ბენეფისმა და ვერც სიკარგემ პიესისამ ვერ შეადგმევინა ქართულს თეატრში ფეხი. ეს გულგრილობა მით უფრო საკვირველია, რომ ჩვენი არტისტები დიდად სცდილობენ, დიდად ბეჯითობენ და ერთგულად ეკიდებიან თავიანთს მოვალეობას.

*მანოელიძე*

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** გათავდა მსოფლიო გამოფენა პარიჟისა. პარიჟელებს გული დასწყდათ, რომ ჩვენი ნამოქმედარი, ჩვენი ლვიძლი შვილი უნდა გაჰქრეს და მოისპოსო. უკანასკნელს ხანებში ცუდი ამინდები დაიჭირა, ავდარი იყო, მაგრამ უფრო მეტის ხალისით დადიოდნენ გამოფენაზე, ვიდრე წინად. ცხადია, რომ ენანებოდათ იმისი მოსპობა და უნდოდათ უკანასკნელად კიდევ ენახათ და იმისი სახე გულს ღრმად და კვალ-ამოუშლელად ჩაებეჭდათ.

თითო-ოროლას გარდა, ბევრს-კი არავისა სჯეროდა, რომ მსოფლიო გამოფენა პარიჟისა ისეთი დიდებული საქმე გამოვიდოდა. თითონ პარიჟსა და საფრანგეთში-აც-კი არა სჯეროდათ, რომ გამოფენას ისე გაუღიმებდა ბედი. ბევრი ამბობდა, ფული როგორ ჩავყაროთ მაგისთანა საეჭვო საქმეშიო; ვინ იცის, როგორ წავა მაგისი საქმეო.

ბისმარკმა მისწერა მაშინ საფრანგეთის მთავრობას, რომ დრო მსოფლიო გამოფენებისა წავიდაო, ეხლა კერძო გამოფენები უნდა იმართებოდესო. ავსტრიის მთავარ-მინისტრმა კალნოკიმ ურჩია ავსტრიელებს: ნუ წახვალთ პარიჟში გამოფენაზედ და ნურც გაჰგზავნით თქვენს საქონელს. მოუსვენარი ხალხია, არეულობა და უწესოება რამ მოხდება და თქვენი სიცოცხლეც-კი უზრუნველ-ყოფილი არ იქნებაო. იტალიის მთავარ-მინისტრი კრისპიც ასეთის აზრისა იყო. მისი მომხრე გაზეთები ბევრს ჰორიებსა და ურიგო ხმებს ავრცელებდნენ გამოფენისა და საფრანგეთის შესახებ. ზოგიერთმა იტალიის ეპქრებმა ამის გამო ველარც-კი გაჰბედეს წასვლა და გზიდგან დაბრუნდნენ უკან.

მაგრამ საფრანგეთის ბედმა სხვაფრივ იმუშავა. პარიჟის გამოფენამ თავის დიდებით ყველა სხვა გამოფენას გადააჭარბა და ისეთი რამ გამოვიდა, რომ გააკვირვა მთელი ქვეყნიერობა, მთელი კაცობრიობა. სახელი მისი გაიფინა მთელის დედამიწის ზურგზედ და აღარ დარჩა კუთხე, კუნჭული არა თუ ევროპისა და ამერიკისა, არამედ აზიისაც-კი, რომ მისი დიდება და სახელი არ მოჰფენოდეს.

ციფრები ყველაზე უკეთ ამტკიცებს პარიჟის გამოფენის სიდიდეს. ექვსის თვეის განმაელობაში გამოფენა ნახა 25 მილიონმა კაცმა, მაშინ-როდესაც 1878 წლის გამოფენა ნახა მხოლოდ 12 მილიონმა, ერთი-ორად ნაკლებმა ხალხმა. დღეში დადიოდა გამოფენაზე ორთა-შუა რიცხვით 135 ათასი კაცი. ყოფილა ისეთი დღეც, რომ 400 ათასი კაცი მისულა. უმეტესი ნაწილი გამოფენის მნახველთა უფრო საფრანგეთის დაბა-სოფლელები და უცხოელნი ყოფილან, ვიდრე თვით პარიჟელები. პოლიციას გამოუანგარიშნია დაახლოვებით, რომ გამოფენის სანახავად ჩამოვიდა პარიჟში ხუთ მილიონამდე კაციდამ და სოფლებიდამაო და მილიონ ნახევრამდე კიდევ უცხოელიო. დაახლოვებითვე ვარაუდობენ, რომ ამოდენა ხალხმა დაჰხარჯა პარიჟში ჭამა-სმასა და სასყიდლებისათვის აუარებელი ფული—ერთი მილიარდი და 250 მილიონი ფრანკიო. ვსთქვათ, ეს ციფრები სავარაუდოა და არა ბეჯითად გამოძიებული და გამოანგარიშებული. აი ნამდვილი ცნობანიც: ეიფელის კოშკის გამგებლებს უწერიათ დავთრებში, რომ კოშკის მნახველთაგან შემოგვივიდა $6^1/_2$ მილიონიო. დეკოვილის პატარა რკინის გზამ შეაგროვა ზაფხულის განმაელობაში $1^1/_2$ მილიონი. დიდმა რკინის გზებმა გამოაცხადეს, რომ 60 მილიონი მეტი ავიღეთ წელს, ვიდრე წინად ვიღებდით ხოლმე ამავე ხანშიო. პარიჟის თეატრებს აუღიათ ზაფხულის განმაელობაშივე 15 მილიონზე მეტი, მაშინ-როდესაც 1878 წლის გამოფენა რომ იყო, აუღიათ მხოლოდ 13 მილიონი, 1867 წლის გამოფენის დროს-კი მხოლოდ $10^1/_2$ მილიონი.

ერთის სიტყვით, წრევანდელს მსოფლიო გამოფენას ისეთი დარი დაუდგა, ისეთი ბედი ჰქონდა, რომ პარიჟელები ახლავე ჰფიქრობენ ათიოდე წლის შემდეგ კიდევ გაჰმართონ მსოფლიო გამოფენა. ეპირებიან მეოცე საუკუნის დამდეგს ახალის მსოფლიო გამოფენით მიეგებნონ. ეს გამოფენა, იმათის აზრით, სწორედ 1900 წელს უნდა იყოსო.

გამოფენამ ბევრი სხვა სიკეთეც შესძინა საფრანგეთს. გამოფენამ დაანახვა ყველას, რა ძალა და ღონე აქვს ქვეყანას, რა წარმატებულია მრეწველობა საფრანგეთში და მეტადრე ტეხნიკა და ხელოვნება. ამას გარდა, გამოფენის გამო პარიჟი და საფრანგეთი ნახა ათასმა და ათი ათასმა უცხოელმა, უფრო სახელმწიფო კაცმა და დიდმა მოხელემ, და თავის თვალით დარწმუნდა, რომ სარესპუბლიკო წესწყობილება სრულიად არავითარს დაბრკოლებას არ აძლევს ქვეყნის წარმატებას, პირ-იქით, ხელს უწყობს და უფრო ფრთას აშლევინებსო. ათასი და ათი ათასი სწავლული და მეცნიერი მოაწყდა პარიჟს და კონგრესი კონგრესზედ იმართებოდა სხვა-და-სხვა სამეცნიერო საგნის ერთობილის ღონით გამოძიებისა და გამოკვლევისათვის. ამ სახით, დიდად დაუახლოვდა ერთმანეთს სხვა-და-სხვა ქვეყანა, სხვა-და-სხვა ჰკუისა და ფიქრის ხალხი. პრეზიდენტმა კარნომ 7—8 ბალი და სალამო გამართა უცხო სტუმართათვის და აგრეთვე ქალაქმა, აგრეთვე მინისტრებმა. ყველა ხელობისა და ამქრის ხალხი გაუმასპინძლდა თავის ხელობისა და ჰამქრის უცხო ხალხს და ამით დაუმტკიცა, რომ საფრანგეთში, მართალია, ცხარე და მწვავე ბრძოლაა დასთა შორის, მაგრამ სტუმართ-მოყვარეობაც იციან, წესი და რიგიც დიდადა აქეთ დაცული, კაცთმოყვარეობაც ძლიერია და უცხო ტომთა პატივის-ცემაცაო.

ერთი დიდი სიკეთეც ის შესძლენა გამოფენამ და იმისმა სიდიადემ საფრანგეთს, რომ ხმა ჩაუწყვიტა კონსერვატორებს და ბულანჟეობას, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ რესპუბლიკა უძლურია, უღონოა და ვერა საქმეს ვერ გააკეთებსო. იქნება პარიჟის გამოფენა რომ ისეთის დიდებითა და ბრწყინვალებით არ გამართულიყო, კონსერვატორები ასე დამძარცვული და თავ-პირ ჩამოშვებული არა ყოფილიყვნენ დღეს. ასე რომ არ ყოფილიყო, იქნება ბულანჟელების გმირიც, ის „ბარაქალა გენერალი“, დღეს რომელსაც უნაყოფო და მიყრუებულს კუნძულზე განმარტოებით არ დასეირნობდეს და თავის წარსულის დიდების ფიქრში არ იყოს მწარედ გართული...

## დეპეშა

13 ნოემბერი

**ლონდონი.** ქაირიდამ გვაუწყებენ, რომ მაჰდი თავის ჯარებს აგროვებს ომდურმანის ახლოს და უნდა გააძლიეროს მეციხოვნენი დონგოლისა. ჰგონებენ, რომ მაჰდის უნდა კვლავ შეესიოს ეგვიპტეს და გადაუხადოს ტოსკის ახლო დამარცხების სამაგიერო. დერვიშებმა უკან დაიწიეს ნილოსის აყოლებაზე სუარდამდე და კვლავ ესხმიან თავს აბისინიის მიწა-წყალს. უმეტესი ნაწილი საეკვატორო მიწა-წყლისა იმათ ხელშია. ამ სახით დერვიშებს დიდ-ძალი შეთოფიარაღებული ჯარი ჰყავთ და შეუძლიანთ ამ ჯარებით სხვაგანაც დაიწყონ მოქმედება.

14 ნოემბერი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია შემდეგი უმაღლესი ბრძანება: ვიდრე ახალი კანონი გამოვიდოდეს, არა ქრისტიანენი ნაფიც და კერძო ვექილებად არ უნდა მიიღონ სამოსამართლო დაწესებულებათა და ნაფიც ვექილთა საბჭოთ, თუ იუსტიციის მინისტრის ნება-რთვა არ იქმნაო.

ელჩი თეირანისა თ. დოლგორუკი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდამ თავის სურვილისამებრ. ელჩს ებოძა მეორე ხარისხის ორდენი წმ. ვლადიმერისა.

ეგერმეისტერ თ. ბარიათინსკის მაგიერ, საიმპერატორო ნადირობის უფროსად დანიშნულ იქმნა ფლიგელ-ადიუტანტი თავ. გალიცინი.

მერმისს ზაფხულს ტაშკენტში გაიმართება გამოფენა სამეურნეო და სამრეწველო საგნებისა. 8 განყოფილებას გარდა სამი განსაკუთრებული განყოფილება კიდევ იქმნება: სამეცნიერო, სამხედრო-საისტორიო და სამოსწავლო. ამ სამის განყოფილების გამართვას ბევრს დაეხმარებიან ისინი, ვინც ტაშკენტის დაპყრობაში მონაწილეობას იღებდა და ვინც მოაგროვა ძვირფასი საისტორიო მასალები. გამოსაფენი ნივთები და საგნები მსურველთ უნდა უგზავნონ ტაშკენტში გამოფენის გამგე კომიტეტს.

„Гражданинъ“-ი იუწყება, რომ საქმეთა-წარმოება უჩასტკების უფროსებისა ისეთი საძნელო არ იქმნება, რომ შეავიწროვოს მათი მოღვაწეობა.

„Нов. Время“-ს გაუგონია, რომ სამეცნიერო აკადემიის წინადადებისამებრ უნდა დააარსონ საგიდროგრაფიო ინსტიტუტიო. ფული ამ ინსტიტუტის დასაარსებლად უნდა გამოიღოს სამმა სამინისტრომ: საერო განათლებისამ, ზღვათა და გზათა სამინისტრომაო.

ტუნისი. გემმა „Miramar“-მა, რომელშიაც არის ავსტრიის იმპერატრიცა, ტუნის ახლო გაიარა.

ბერლინი. პრინცი ლუი-ნაპოლეონი გუშინ წავიდა ბერლინიდგან პეტერბურგს და უნდა რუსეთში სამხედრო სამსახურში შევიდეს.

ვენა (განსაკუთრებული დეპეშა). ბოჰემიის სეიმში გუშინ ცხარე ლაპარაკი ასტყდა იმის გამო, რომ სეიმს ურჩიეს გუსის სახელი დაეწეროთ მუზეუმის შენობას შუბლზეო. ზოგიერთმა დეპუტატმა და მათ შორის თავად შვარცენბერგების უმცროსმა წარმომადგენელმა წარმოსთქვეს ცხარე სიტყვა გუსის მომხრეთა წინააღმდეგ. ამ საქმის გამო ხალხში მღელვარება და ალიაქოთია.

15 ნოემბერი

პეტერბურგი. გუშინ ხელმწიფე იმპერატრიცის დაბადების დღის გამო, გატჩინოს სასახლეში საუზმე იყო გამართული; სამეუფო ქალაქის ეკკლესიებში წირვები და პარაკლისები გადაიხადეს. როცა ისაკის ტაძარში პარაკლისი გათავდა და მრავალ-ჟამიერ იქმნა წარმოთქმული, ციხიდამ ზარბაზნები გაისროლეს. საღამოზე პეტერბურგი გაჩაღებულ იქმნა. წარმოდგენების დაწყების წინად ყველა თეატრებში სთქვეს საერო საგალობელი, რომელიც საზოგადოებამ ყველგან გაამეორებინა.

გაზეთები იუწყებიან, რომ მალე დაიწყებენ განხილვას იმ პროექტისას, რომელიც შეადგინა იუსტიციის სამინისტრომ და რომელიც შეეხება სამოქალაქო საქმეების შემოკლებით გარჩევასა და წარმოებასა.

პეტერბურგის ბირჟა, 13 ნოემბ.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7 | 58 | — | „ | — | „ |
| ტამოჟნის კუპონები | 151 | | — | „ | — | „ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | 1 | 10 | — | „ | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | — | „ | — | „ | 245½ | |
| —მეორისა | — | „ | — | „ | 224½ | |
| გირავნობის ფურცლები ტფილისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — | „ | — | „ | — | „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისაგან

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა, 1881 წლის 17 თებერვლის დამტკიცებულ ბანკის წესდების მე-15 §-ის ძალით, ამით აცხადებს, რომ 16 დეკემბერს 1889 წ., დილის 12 საათზედ, ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, არწრუნისეულს სახლებში საჯაროდ გაისყიდება ქვემო ხსენებული მამულები ვაჭრობის განუმეორებლად ბანკის წესდებულებით დადგენილთა გადასახდელების შემოუტანლობისათვის, მე-13, 14, 15, 17, 18 და 19 §§-მებრ.

ა) სესხნი გაცემულნი არა-ურთიერთობრივის თავდებობით.

ალენიკოვისა, სალომე იაგორის ასული: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ორ-სართულიანი ქვითკირისავე ფლიგელი, ზომით 88 საჟ. 1½ არშინი, ქ. ტფილისს, დავიდოვის ქუჩაზედ. თავნი ვალი 12712 მან. 6 კ. შემოსატანი 206 მან. 60 კ. სულ 12918 მ. 66 კ.

სულხანოვისა, მარიამ იეანეს ასული: 18 ქვის დუქანი, ამათში 14 ერთ-სართულიანი და 4 ორ-სართულიანი ბალახანითურთ. მიწის ზომა 276 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს, ორი დუქანი იმყოფება მე-7 ნაწილში და 16 ჩუღურეთს. თავნი ვალი 19623 მან. 87 კ. შემოსატანი 4794 მ. 58 კ. სულ 24,418 მ. 45 კ.

მირიმანოვი, დავით იაკობის ძე: სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ფლიგელი, მიწის ზომა 111½ ოთხ-კუთხი საჟ. 11 ნაწილში 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისში, ელისაბედის ქუჩაზედ. თავნი ვალი 13560 მ. 33 კ. შემოსატანი 1056 მ. 72 კ. სულ 14617 მ. 5 კ.

არწრუნი, გრიგოლ, ანდრია და ელისაბედ იერემიას ძენი: სხვა-და-სხვა შენობა 6 დესიატ. და 928 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. ტფილისს, 1 ნაწ. 1 განყ., იმას იქით, სადაც მოსკოვის საყარაულო იყო. თავნი ვალი 8136 მ. 22 კ. შემოსატანი 584 მ. 40 კ. სულ 8720 მ. 62 კ.

ზურელაშვილი, გრიგოლ დავითის ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ბაღით. მიწის ზომა 4 დესიატინა ქ. ტფილისში, ნავთლუღს, 2 განყ., 16 ნაწ. თავნი ვალი 1356 მ. 6 კ. შემოსატანი 167 მ. 62 კ. სულ 1523 მ. 68 კაპ.

მირიანოვისა, მარიამ იაკობის ასული: ერთი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და აბანოები 168 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. გორში. თავნი ვალი 3473 მან. 52 კაპ. შემოსატანი 204 მან. 76 კაპ. სულ 3678 მ. 28 კაპ.

პოლტარაცკი, ივანე ეგნატეს ძე: ორი. ორ-სართულიანი ქვითკ. სახლი. ორის ორ-სართულიანის ფლიგელით და შენობით. მიწის ზომა 321⅜ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისში, 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, ოლგასა და მოსკოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 18,482 მან. 14 კაპ. შემოსატანი 2261 მან. 56 კაპ. სულ 20,743 მან. 70 კაპ.

თამამშოვი, ალექსანდრე სოლომონის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სამის წყაროთი და ყოველისავე მოწყობილობით, ვენახი და ბაღი. მიწის ზომა 3 დესიატ. 350 ოთხ-კუთხი საჟ. მე-9 ნაწილში, ქ. ტფილისში, 1 განყოფილებაში, კრწანისს. თავნი ვალი 2133 მან. 48 კაპ. შემოსატანი 213 მან. 50 კაპ. სულ 2345 მან. 98 კაპ.

რუსიევ-ყორჩიბაშევი, გიორგი გიორგის ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის. მიწის ზომა სიგრძით 50 საჟ და სიგანით 25 საჟ. ქ. თელავს. თავნი ვალი 558 მან. 10 კაპ. შემოსატანი 102 მან. 44 კაპ. სულ 660 მან. 54 კაპ.

ციციშვილი, დავით იეანეს ძე: მიწა 300 ოთხ-კუთხი საჟ. 11 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისში. თავნი ვალი 958 მან. 17 კაპ. შემ. 127 მან. 72 კაპ. სულ 1085 მან. 89 კაპ.

II სოფლის მამულები

ზარათაშვილი, გიორგი ვახტანგის ძე: სახნავი და საბოხტე ადგილები, ზომით 177 დესიატ. 1560 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკს ზემო-ოძისს. თავნი ვალი 4089 მ. 67 კ. შემოსატანი 200 მან. 80 კ. სულ 4290 მ. 47 კ.

ხიმშიაშვილი, ნიკოლოზ, ნინო და მარიამ გიორგის ძენი და ეკატერინე ბექანის ასული: სახნავი და საძოვარი მიწა, ზომით 653 დესიატინა 1820 ოთხ-კუთხი საჟენი ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, ამტნისხევში. თავნი ვალი 4090 მან. 15 კაპ. შემოსატანი 264 მან. 60 კაპ. სულ 4854 მან 75 კაპ.

ნაზარბეგოვი, სოლომონ გრიგოლის ძე: სახნავი, სათიბი და საძოვარი ადგილი, ზომით 548 დესიატინა 1837 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფელ ყიჩიკში თავნი ვალი 7270 მან. 80 კაპ. შემოსატანი 389 მან. 60 კაპ. სულ 7660 მან. 40 კაპ.

ერისთავი, გიორგი გიორგის ძე: სახნავი, საძოვარი, სამოსახლო ადგილი, ვენახი და შენობანი, 284 დესიატინა 1263 ოთხ კუთხი საჟ. ტფილისის გუბერ. თელავის მაზრაში, სოფ. ქისტაურში. თავნი ვალი 9238 მან. 16 კაპ. შემოსატანი 434 მან. სულ 9672 მან. 16 კაპ.

ქანანოვი, გიორგი ზურაბის ძე: სახნავ-სათესი, ვენახი და სახლ-კარის ადგილები შენობები, რომელთაც 151 დეს. 300 ოთხ-კუთხი საჟ. მიწა უჭირავთ ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრის სოფ. ბრეთში. თავნი ვალი 8225 მ. 40 კ. შემოსატანი 715 მ. 18 კ. სულ 8940 მ. 58 კ.

კერესელიძისა, ანასტასია გრიგოლის ასული: სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 104 დესიატინა 1200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის მაზრის სოფ. ბოგვში. თავნი ვალი 2756 მ. 57 კ. შემოსატანი 495 მ. 69 კ. სულ 3252 მ. 26 კ.

მელიქოვი, ივანე, ალექსანდრეს ძე: სახნავი ადგილი და ტყე, ზომით 2365 დესიატ. 364 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, გალითალასა, მუხნანკასა და სხ. თავნი ვალი 12931 მ. 23 კ. შემოსატანი 686 მ. 90 კ. სულ 13618 მ. 13 კ.

თარხან-მოურავი, დავით იორამის ძე: სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 525 დესიატინა და 876 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ ახალ-ქალაქისა და კავთიხევის მახლობლად და აგ. მანგლისში. თავნი ვალი 6465 მ. 7 კ. შემოსატანი 358 მ. 40 კ. სულ 6823 მ. 47 კ.

სოლაღოვი, იასე ქაიხოსროს ძე: სახნავ-საძოვარი და სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 212 დეს. 150 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრას, პუსტოშის მონასტერს თავნი ვალი 1847 მან. 34 კაპ. შემოსატანი 94 მან. 80 კაპ. სულ 1942 მან. 14 კაპ.

ორბელიანი, ალექსანდრე იეანეს ძე: სახნავი და საძოვარი ადგილები, ზომით 2189 დესიატინა 1987 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრას, აგარაკთ: წინანაურსა, კასალარსა და ბაშკიჩეტს. თავნი ვალი 32328 მ. 6 კ. შემოსატანი 1496 მ. სულ 33824 მ. 6 კ.

ვაჩნაძე, იოსებ რევაზის ძე: სახნავი ადგილები და ტყე, ზომით 663 დესიატინა ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში, სოფელ ბარემკალას. თავნი ვალი 2770 მ. 97 კ. შემოსატანი 190 მ. 28 კ. სულ 2861 მ. 25 კ.

ქობულაშვილები, სოლომონ და ზაქარია ადამის ძენი: სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 823 დესიატ. 1200 ოთხ-კუთხი საჟ. თელავის მაზრის სოფ. კონდოლს. თავნი ვალი 9236 მ. 58 კ. შემოსატანი 439 მ. სულ 9675 მ. 58 კ.

ვახვახოვისა, ეკატერინე გიორგის ასული: სახნავი ადგილები და ტყე, ზომით 308 დესიატინა 555 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერ. თელავის მაზრას, სოფ. კონდოლში. თავნი ვალი 2770 მ. 97 კ. შემოსატანი 221 მ. 78 კ. სულ 2992 მ. 75 კ.

შატბეროვისა, ლიუდმილა ათანასეს ასული: სახნავი ადგილები ზომით 18 დესიატინა 1600 ოთხ-კუთხი საჟ. გორის მაზრის სოფ. ხაშურში. თავნი ვალი 923 მან. 66 კაპ. შემოსატანი 99 მან. 44 კაპ. სულ 1023 10 კაპ.

თოფშიევისა, ხანუმა ყიზი-ხანუმა (ზეინალოვებისა): სახნავი და საბალე ადგილები, 388 დესიატ. 250 ოთხ კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, ბორჩალოში, შულავერის ადმინისტრაციულს განყოფილებაში, ახალს მაღლუთმუს საპრისტაოში. თავნი ვალი 4618 მან. 29 კაპ. შემოსატანი 222 მან. სულ 4840 მან. 29 კაპ.

გედევანოვი, მერაბ იოსების ძე: სახნავი, საძოვარი და სათიბი მინდვრები 60 დესიატ. 110 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში და მაზრაში, აგარაკს მუხათ-გვერდში. თავნი ვალი 554 მან. 19 კაპ. შემოსატანი 62 მან. 32 კაპ. სულ 616 მან. 51 კაპ.

ციციშვილისა, ხორეშან თადეოზის ასული: სახნავი მიწები და ტყე 234 დესიატ. 1368 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, დუშეთის მაზრაში, სოფ. საგურამოს. თავნი ვალი 6498 მან. 17 კაპ. შემოსატანი 394 მან. 62 კაპ. სულ 6892 მან. 79 კაპ.

მელიქოვი, მიხეილ იეანეს ძე: სახნავი, სათიბი და ტყე 1041 დესიატ. 500 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, არაბატალა, ფალიან-თაქიანი და სხ. თავნი ვალი 7426 მან. 46 კაპ. შემოსატანი 408 მან. 40 კაპ. სულ 7834 მან. 86 კ.

ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის ძე: სახნავი, სათიბი, საძოვარი და ტყე, 1292 დესიატ. 1600 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, აბულმუყში. თავნი ვალი 5596 მან. 95 კაპ. შემოსატანი 264 მან. 40 კაპ. სულ 5861 მან. 35 კაპ.

მელიქოვისა მარიამ გიორგის ასული, სახნავი, საძოვარი სათიბი და სამოსახლო ადგილები და ტყე, ზომით 1559 დესიატ. 760 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერ. და მაზრას, სოფ. თოხლიკილისსა, სადახლო და ქვემო ცოპს. თავნი ვალი 26575 მან. 16 კაპ. შემოსატანი 1249 მან. 46 კაპ. სულ 27824 მან. 62 კაპ.

ჭავჭავაძე, ზაქარია გულბაათის ძე: სახნავი ადგილები და ტყე 660 დესიატ. 1800 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, თიონეთის მაზრის სოფ. ბოტკოს. თავნი ვალი 11,193 მან. 87 კაპ. შემოსატანი 520 მან. 80 კაპ. სულ 11714 მან. 67 კაპ.

შუტოვისა, ელისაბედ პავლეს ასული: სახნავ-სათიბი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 56 დესიატ. 2080 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრას, აგარაკთ დიდენაგეთსა და ტბისში. თავნი ვალი 189 მან. 82 კაპ. შემოსატანი 67 მან. 37 კაპ. სულ 257 მან. 13 კაპ.

ციციშვილი, დავით იეანეს ძე: საძოვარი, ხეხილიანი ვენახი და შენობანი 86 დესიატ. 960 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. ქვემო ნიჩბისში. თავნი ვალი 3807 მან. 39 კაპ. შემოსატა-